

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 7 ოქტომბრის სხდომის

ოქმი №53

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 39. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფესორი არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს აუწყა, რომ სხდომა ტარდება განმეორებით, წინა სხდომაზე კვორუმის არარსებობის გამო, გააცნო მათ დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. ვალიდა სესაძე, პროფ. ნინო ნიკვაშვილი, პროფ. ნაზი კუციავა.

წარმოდგენილ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – "სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის" დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №311 – მომხსენებელი პროფ. ლევან იმნაიშვილი.

პროფ. ლევან იმნაიშვილმა ისაუბრა "სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის" შესახებ და წარმოადგინა ვიზუალური მასალა.

პროფ. ლადო ხოჭოლავა: ჩემი შეკითხვა ეხება I კურსის მათემატიკას. სტუდენტი, რომელიც დამატებით ყიდულობს კრედიტს, ის კომპიუტერული სისტემით აბარებს თუ დამატებით პროფესორთან?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ის ჩაჯდება ჩვეულებრივ ჯგუფთან ერთად და გამოცდას ჩააბარებს კომპიუტერზე. ყველას ეშინოდა კომპიუტერულ გამოცდაზე გადასვლა, რადგან ეგონათ დაკარგავდნენ საათებს. 1 საათი მაინც თუ დაკარგეთ კომპიუტერულ გამოცდაზე გადაყვანისას?

პროფ. ლადო ხოჭოლავა: არა.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ჩვენი მიზანია გაემიჯნოთ ლექტორი და გამოცდა. ამ საგამოცდო სისტემისთვის ახლა ვყიდულობთ 300

კომპიუტერს. ამის შემდეგ კიდევ უნდა დავუმატოთ, რომ ყველა გადავიდეს კომპიუტერულ გამოცდაზე.

პროფ. თამარ ხოსობაშვილი: ვთქვათ, სტუდენტი არის არქეოლოგიურ მუზეუმში. როგორ იქნება ეს ასახული ცხრილში?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ასეთი შემთხვევები უნდა იყოს ცალკე გამოყოფილი და დაფიქსირებული.

საკიერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი – "სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის" დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №311. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. ლევან იმნაიშვილმა წარმოადგინა საკითხი "სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის" დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №311.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №311 დადგენილება:

1. მოწონებულ იქნეს „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა“ და დაინერგოს იგი სასწავლო პროცესში 2010/2011 სასწავლო წლიდან;
2. „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის“ უწყისის შევსებისას უპასუხისმგებლობის/უყურადღებობის გამო დაშვებულ შეცდომებზე რეაგირების მიზნით, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ შემოღებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული ღონისძიებები:
 - ა) ორი შემთხვევისას – მითითება;
 - ბ) სამი შემთხვევისას – გაფრთხილება;
 - გ) ოთხი შემთხვევისას – საყვედური;
 - დ) ხუთი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური;
 - ე) ექვსი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით;
 - ვ) შვიდი შემთხვევისას – დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
3. შემოღებული ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ლ. იმნაიშვილი);

4. გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე).

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის" შემოღების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №312 – მომხსენებელი პროფ. ლევან იმნაიშივილი.

პროფ. ლევან იმნაიშივილი: ადამიანები სამსახურში დადიან ჩვეულებრივი წესით, მაგრამ სტუ-ს ხელმძღვანელობას სხვა პოზიცია აქვს. აქ არის როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო პროცესი. ამდენად აღრიცხვის საკითხს გვერდს ვერ ავუვლით. უნდა აღვრიცხოთ კონკრეტულად შესრულებული სამუშაო. კერძოდ, ლექციაზე, პრაქტიკულზე და ლაბორატორიებში შესვლა. ამის გადაწყვეტა რთული იყო და ეს შეიძლება აღვწეროთ ელექტრონული სისტემებით. საჭიროა პროფესორ-მასწავლებელთა იდენტიფიკაცია, ჩანაცვლების რეგისტრაცია და ლექციის შეწყვეტის რეგისტრაცია. ეს საჭიროა შემდგომი ანალიზისთვის. საჭირო გახდა ფორმის შერჩევა. ერთ-ერთი ვარიანტი იყო პლასტიკური ბარათი. თუმცა მას ნაკლი აქვს – შეიძლება მისი გადაცემა. კიდევ რა საშუალებები არსებობს იდენტიფიკაციის? თითის ანაბეჭდით კოდის მიღება. გვაქვს თითის სენსორი. აქედან მიიღება სპეციალური კოდი და ხდება ამ კოდის შენახვა. რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ვიყენებთ ცარცს, ის ცუდად მოქმედებს სკანერის შუშაზე, ამიტომ გავიწმინდოთ თითი რეგისტრაციის წინ. რა პირობები მოქმედებს: რეგისტრაციის დაწყება ლექციის დაწყებამდე 25 წუთით ადრე პერიოდიდან, დამთავრების რეგისტრაცია ლექციის დამთავრებიდან 25 წუთის განმავლობაში. როდესაც ხდება დაწყების რეგისტრაცია და არ ხდება დამთავრების რეგისტრაცია – ლექცია არ ჩაითვლება ჩატარებულად. ერთნაირი რანგის პროფესურა ერთმანეთს შეიძლება ჩაენაცვლოს ან მაღალი დაბალს. ლექციის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს ორი გზით: პროფესორის მოთხოვნით ან ჯგუფის მეცადინეობაზე გამოუცხადებლობით. ცხრილში, სადაც რუხი ფერია, ის ჩასატარებელი ლექციაა და ყვითელი – უკვე დაწყებული. წითელი ფერით აღინიშნება გაცდენილი ლექცია, ხოლო მწვანე ფერით, რომელიც უკვე ჩატარდა. ყველა ეს ინფორმაცია ფიქსირდება არქივში, იკრიბება მონაცემთა ბაზაში და გაკეთდება ანალიზი, რა მდგომარეობაა თითოეულ ფაკულტეტზე.

პროფ. ივანე თვალავაძე: ხელფასის საქმე როგორ იქნება?

პროფ. დავით ჯაფარიძე: ლექციის ქვეშ რა იგულისხმება?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: ერთი აკადემიური საათი.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: მოდით, ასე ვთქვათ: პირველი – რაიმე გარდა ტექნიკური სიახლისა, არის თუ არა ტექნიკურ სისტემაში? არაფერი არ არის. როგორ ვიქცეოდით ადრე? საპროფესოროში ხელმოწერით ვაფიქსირებდით ჩვენს იქ ყოფნას ან ეს ლექცია გადაგვქონდა. ამ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ ის, რომ აქ ფიქსირდება თითი. ეს არის თითის ანაბეჭდი, ამას ვერსად სხვაგან ვერ გამოიყენებთ. ეს არის გარკვეულ წერტილებზე გამაგრებული ანაბეჭდი და ეს სიზუსტე აბსოლუტურად გვაკმაყოფილებს. ეს არ არის თითის სრული ანაბეჭდი, მაგრამ ეს გვაძლევს იდენტიფიკაციის საშუალებას.

მეორე – რა შეიცვალა? რას გვაძლევს ეს? პიროვნება აფიქსირებს თავის თავს ლექციაზე შესვლის წინ. ჩვენ რა კონტრაქტები გვაქვს? ჩვენ გავაფორმეთ კონტრაქტები და ჩავწერეთ 1 სთ. ღირს ამდენი თანხა, რაც ნიშნავს იმას, რომ ის სამსახურში არ უნდა იყოს 9-დან 5 საათამდე. ვინაიდან ჩვენ გვაქვს კონტრაქტი 300-600 საათზე, ერთი საათი ღირს – 18 ლარი, უნდა აღვრიცხოთ თითოეული საათი. თუ გავაფორმებთ კონტრაქტს და ფულს ვიღებთ ერთ საათში, უნდა დავაფიქსიროთ. შეიძლება იყოს აკადემიური საათი, ასტრონომიული ან 90 წუთიანი. ჩვენ ვლაპარაკობთ საათზე და ვაფიქსირებთ იმას, რაშიც ვიხდით ფულს. რამდენად კომფორტულია? ჩვენ შეგვეძლო შეგვეძინა 2-ჯერ მეტი ეს აპარატურა და დაგვეყენებინა ყველა სართულზე, მაგრამ ეს იწვევს დიდ ხარჯებს. ის დრო წავიდა, როცა ადამიანს შეეძლო თავისი თავი შეეცვალა ვინმეთი. ამიტომ ყველაფერი უნდა გასწორდეს, რომ ვინმე არ შევიდეს სხვის მაგივრად. აქ ზოგიერთი მოდის და ამბობს, რომ ვიღაცა სისტემატურად არ შედის ლექციაზე. თუ ლექციაზე სრული პროფესორის ნაცვლად შევა ასოცირებული, ის მიიღებს ანაზღაურებას თავისი ტარიფის მიხედვით. თუ არ გინდათ ვინმემ შეგცვალოთ, თქვენ შეგიძლიათ ლექცია გადაიტანოთ სხვა დროს. იყო შემთხვევები, როცა სრული პროფესორი იღებდა თავის კუთვნილ ხელფასს და ლექციას ატარებდა დაქირავებული ლექტორი. ჩვენ წავიკითხეთ ლექცია და იმ ლექტორმა ჩემს ნაცვლად აიღო ფული, მე კი მომცა 120 ლარი. სრული პროფესორები ქირაობენ ლაბორანტებს. ეს არის დოკუმენტური მასალა. მოძებნე შენი დონის ლექტორი, ან გადაიტანე, თუ ბიულეტენზე ხართ, დაწერეთ განცხადება. ეს იმიტომ ხდება, რომ არ მოხდეს გაყალბება. მე მაქვს დოკუმენტური მასალა, რომ ლექტორი უმესიჯებს სტუდენტს, რომ არ მოვიდეს ლექციაზე. როცა დადისხართ უცხოეთში და გაქვთ

ბიომეტრიული პასპორტი, იქ დოკუმენტაცია ადარ მოწმდება და ხელის ანაბეჭდით ხდება იდენტიფიკაცია.

პროფ. ნოდარ კოდუა: შეიძლება ვერ მოხდეს, რომ ერთ დოქტორი ჩაენაცვლოს მეორეს. ის სხვა საგანს კითხულობს და ის სხვას.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ე.ი. ლექცია ჩავარდა და არ ჩატარდება. ერთ კვირის განმავლობაში თქვენ შეგიძლიათ ცვლილებების შეტანა, მიმართავთ დეკანატს. ჩანაცვლდება თუ არა, გაცდენა წაიშლება. სტუდენტს აქვს ცხრილი. თუ სტუდენტს აქვს მხოლოდ ცხრილი, მაშინ პრობლემა არ არის, მაგრამ სტუდენტს უწერია, რომ უნდა მოუსმინოს კოდუას. თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ ეს ლექცია იქნეს აღდგენილი.

იმის გულისთვის, რომ ერთმა კომფორტი შეიქმნას და ლექცია არ ჩაატაროს, ამდროს კი სტუდენტს ვაიძულებთ ფული გადაიხადოს, ეს არ არის სწორი. ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ რასაც ის კითხულობს, იგივეს კითხულობს მისი ლაბორანტი.

პროფ. გენადი იაშვილი: თუ პროფესორი მივლინებაშია?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: თუ ხანგრძლივი მივლინებაა, უნდა შეათანხმოს დეკანატში – აღდგენები გაკეთდება თუ არა.

პროფ. ივანე შავთვალიშვილი: თუ ბევრი ჯგუფია, ლექციის გადატანა დეკანსაც გაუჭირდება, მაშინ რა ვქნათ? შეიძლება თუ არა რეიტინგულ კვირაში გადავიტანოთ?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: თუ არის ადგილი და დრო, შეიძლება. ეს ყველაფერი უნდა დაიწეროს და გადატანილ იქნეს სასწავლო ნაწილში. ეს უნდა წარმოადგინოთ, ნახავს სასწავლო დეპარტამენტი და შეტანილ იქნება შენიშვნის სახით.

პროფ. აგული სოსაძე: თუ კაცი ავად გახდა, შეგვიძლია სტუდენტები გაგაფრთხილოთ და სხვა ლექტორმა თავისი საათები ჩაატაროს ამ დროს?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: თუ ამას უზრუნველყოფთ, პრობლემა არ არის. ეს დაფიქსირდება. ერთი დაბალანსებს მეორეს.

პროფ. სერგო დადუნაშვილი: რამე ქრონომეტრაჟი ჩატარდა? კაცი ანერვიულდა და ვერ დააფიქსირა თავისი თითი. თუ დაზიანდა სისტემა, რა ვქნათ?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: მიკვირს, ამ კითხვას თქვენ რომ სვამთ. ერთი არის მომხმარებელი და მეორე დამპროექტებელი. თუ სისტემა გაფუჭდა, თქვენ არაფერ შუაში არ ხართ.

პროფ. დავით ჯაფარიძე: როგორ იქნება აღრიცხული მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: დოქტორანტების ხელმძღვანელობა არის სხვა პასუხისმგებლობა. თქვენ ყველანი აგებთ პასუხს – დაიცვა თუ ვერა დისერტაცია თქვენმა დოქტორანტმა, არც ერთი ხელმძღვანელი არ მიიყვანს დოქტორანტს დაცვამდე, თუ მისგან არაფერი გამოდის. თუ თქვენ 3 წელი ატარეთ და არ მთავრდება ნორმალური შედეგით, მაშინ ხელმძღვანელი აგებს პასუხს. მაგისტრატურაში ეს რეგისტრირებული იქნება ლექციებზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე: რა ჯდება სისტემა?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: აქ არის 24 ცალი მონიტორი. სულ გამოყოფილი იყო 66 000 ლარი. ტენდერის შემდეგ რა დაჯდა, არ ვიცი.

პროფ. ნოდარ ქაჯაია: ამ სისტემას ვემხრობი, მაგრამ ყოველი საათის შემდეგ ხელის დაჭერა, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. თუ ლაბორატორია მაქვს, ყოველი 1 საათის შემდეგ ვერ ავალ სხვა სართულზე თითის დასაჭერად. ვინ რჩება ამ დროს ლაბორატორიაში იმ ძვირად ღირებულ აპარატურასთან?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: სპეციალისტი მარტო ის კი არ არის, ვინც დეკანატში ზის. თქვენ შეგიძლიათ, ის დაიხმაროთ. და არა მარტო მაგ შემთხვევაში, შეგიძლიათ სტუდენტთა რეგისტრაციაც ჩაატარებინოთ.

პროფ. კარლო ღურწყაია: ვთქვათ, 4 საათი მაქვს და 4-ვე გაცდა. ეს 1 საათად ითვლება, თუ ოთხად?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ჩვენ გვაქვს ხელშეკრულება 1 საათზე, ამიტომ ჩაითვლება ოთხად.

პროფ. ვლადიმერ ხოჭოლავა: თუ დასვენების დღეა ან დღესასწაული? ვთქვათ, 14 ოქტომბერს მაქვს ლექცია?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: როგორ შეიძლება დღესასწაულზე მოხდეს ლექციის ჩატარება?

პროფ. გენადი იაშვილი: პირველ საათზე მოვხვდი საცობში და ვერ დავაფიქსირე, რა ვქნა?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ე.ი. 9-ზე ვერ მოდიხარ? მაშინ დავიწყოთ 10-ზე. რაც არის ნორმა, რომ ამოკითხული უნდა იქნეს ჯგუფის სია და 45 წუთის მანძილზე უნდა მოასწროთ გარკვეული მასალის მიწოდება, რაც უნდა იქნეს შესრულებული. თუ რამე კიდევ არის გაუგებარი და რაიმე გეთანადრებათ, ახლავე ვთქვათ და დაუსვათ წერტილი. მერე ლაპარაკი აღარ იყოს.

პროფ. ჯემალ ბერიძე: 10 წუთი ყოველ საათს შორის შესვენება არის ძალიან ცოტა, იქნებ ტუალეტში უნდა გასვლა. ერთი და იგივე ჯგუფთან თუ მაქვს რა საჭიროა?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: მე ვარ დამსაქმებელი და გიხდი 1 საათში, თქვენ კი აფიქსირებთ 2 საათს, მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ სხვა განრიგზე.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი: რასაკვირველია, ეს ადრე უნდა შემოგველო, მაგრამ ადმინისტრაციული სასჯელი ცოტა მკაცრი ხომ არ არის?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: თქვენ შეგიძლიათ გააცდინოთ ნახევარი თქვენი ლექციები და ამაზე მეტი რაღა დათმობაზე წავიდეთ?

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი – "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის" შემოღების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №312. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. ლევან იმნაიშვილმა წარმოადგინა საკითხი "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის" შემოღების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №312.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №312 დადგენილება:

1. მოწონებულ იქნეს "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა" და დაინერგოს იგი სასწავლო პროცესში 2010-2011 სასწავლო წლიდან;
2. დამტკიცდეს "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემით" სარგებლობის წესი (იხ. დანართი);
3. პროფესორ-მასწავლებლების მიერ აღნიშნული წესის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის შემოღებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული ღონისძიებები:
 - 3.1. მეცადინეობების ადრე შეწყვეტა დაუსაბუთებლად ან/და მოცემულ საგანში შეუსაბამო პედაგოგის ჩანაცვლება:
 - ა) ორი შემთხვევისას – გაფრთხილება;
 - ბ) სამი შემთხვევისას – საყვედური;
 - გ) ოთხი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით;
 - დ) ხუთი შემთხვევისას – დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
 - 3.2. მეცადინეობების გაცდენა:
 - ა) ერთი შემთხვევისას – საყვედური;
 - ბ) ორი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური;
 - გ) სამი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით;
 - დ) ოთხი შემთხვევისას – დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;

- 3.3. მეცადინეობის გაცდენისას შესაბამისი ანაზღაურება არ გაიცემა;
- 3.4. თუ მეცადინეობას ჩაატარებს პროფესორ-მასწავლებლის ჩამნაცვლებელი, შესაბამისი ანაზღაურება გაიცემა მასზე;
4. შემოღებული ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ღ. იმნაიშვილი);
5. გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
6. აღნიშნული დადგენილება ძალაში შევიდეს 2010 წლის 1 ნოემბრიდან.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ეს არის სტუ-ს ინოვაციური პროდუქტი. ეს არის როგორც ჩვენი შიდა კონტროლი, ასევე საშუალება, რაც ჩვენ ყველას გვაკონტროლებს. ჩვენ ამ სისტემას გეთხოვს ყველა: კავკასიის ბიზნეს სკოლა, იესემი, სამინისტრო... მაგრამ ჩვენ ვეუბნებით, რომ ჯერ ჩვენ გამოვცდით და მერე ვნახოთ.

პროფ. მარინა ქურდაძე: პრემირებაზე თუ იქნება გათვალისწინებული ეს რეგისტრაციები?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: რა თქმა უნდა, ყველაფერი იქნება გათვალისწინებული. შეიძლება პრემია გავცეთ 100 კაცზე. შეიძლება თანამშრომელმა თანამედროვე მეთოდები დანერგოს და შეიტანოს სასწავლო პროცესში, მას ექნება 4-5-ჯერ მეტი ხელფასი, ვიდრე ახლა, ანუ ბონუსებისა და პრემიების სახით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები შემოვიდნენ წინადადებით, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული დანარჩენი საკითხები ერთად დამდგარიყო კენჭის ყრაზე, რადგან წინა სხდომაზე აღნიშნული საკითხები ინფორმაციის სახით იქნა განხილული და მხოლოდ კვორუმის უქონლობის გამო ვერ დამტკიცდა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული დანარჩენი საკითხები:

- სტუ-სთან არსებული "სამრეწველო ბიოეკოტექნოლოგიების" სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №313 (მომხს. პროფ. ლამარა სახვაძე);
- სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტთან არსებული „უსაფრთხო ნაგებობათა მშენებლობის ცენტრის“ (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) შექმნისა და მისი დებულების

დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №314 (მომხს. პროფ. აგული სოხაძე);

- „ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №315 (მომხს. პროფ. გია არაბიძე);
- ზოგადი ფიზიკის ახალი ლაბორატორიის გამართვისათვის საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №319 (მომხს. თამარ წერეთელი);
- საინჟინრო ფიზიკის მიმართულების სტუდენტთა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №320 (მომხს. თამარ წერეთელი);
- ზოგადი ფიზიკისა და მათემატიკის სასწავლო კურსებში კომპიუტერული ტესტების შედგენისათვის საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №321 (მომხს. თამარ წერეთელი);
- ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლების პირველი წლის მაგისტრატურის აკადემიური დატვირთვის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №322 (მომხს. თამარ წერეთელი);
- მათემატიკის დეპარტამენტისათვის საკონსულტაციო საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №324 (მომხს. თამარ წერეთელი);

ზემოაღნიშნული საკითხები კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე პროფ. ლამარა სახვაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან არსებული "სამრეწველო ბიოეკოტექნოლოგიების" სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №313.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №313 დადგენილება სტუ-თან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "სამრეწველო ბიოეკოტექნოლოგიების" ცენტრის შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე პროფ. აგული სოხაძემ წარმოადგინა საკითხი სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტთან არსებული „უსაფრთხო ნაგებობათა მშენებლობის ცენტრის“ (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №314.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №314 დადგენილება სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტთან არსებული „უსაფრთხო ნაგებობათა მშენებლობის ცენტრის“ (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი „ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №315.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №315 დადგენილება „ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე თამარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი ზოგადი ფიზიკის ახალი ლაბორატორიის გამართვისათვის საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №319.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №319 დადგენილება:

ფიზიკის სწავლების დონის მკვეთრად ამაღლების მიზნით ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიის (მექანიკის, მოლეკულური ფიზიკის, ელექტრობა-

მაგნეტიზმის და ოპტიკისა და ატომური ფიზიკის ლაბორატორიები) გამართვისათვის (სამუშაო ადგილების მომზადება; ამოცანების აწყობა; ხელსაწყო-დანადგარების პასპორტების მომზადება ქართულ ენაზე; ინსტრუქციების თარგმნა; ახალი ლაბორატორიული პრაქტიკუმების შექმნა; ლაბორატორიის მომსახურე პერსონალის გადამზადება; აწყობილი ამოცანების ტესტირება; ლაბორატორიული სამუშაოების საპილოტო შესრულება;) გამოიყოფ 8600 საათი.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე თამარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი საინჟინრო ფიზიკის მიმართულების სტუდენტთა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №320.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №320 დადგენილება:

საინჟინრო ფიზიკის მიმართულებით ახალი სპეციალობების გახსნასთან დაკავშირებით, სტუდენტების სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოთ ფიზიკის დეპარტამენტის თანამშრომლებს შესაბამისი ქართულენოვანი 10 სახელმძღვანელოს შექმნა, რისთვისაც გამოიყოფ ჯამური 1200 საათი.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე თამარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი ზოგადი ფიზიკისა და მათემატიკის სასწავლო კურსებში კომპიუტერული ტესტების შედგენისათვის საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №321.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №321 დადგენილება:

ზოგადი ფიზიკისა და მათემატიკის სასწავლო კურსებში 2010-2011 სასწავლო წელს პირველი კურსის ბაკალავრიატისა და პროფესიული უმაღლესი განათლების შუასემესტრული ტესტირებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპიუტერული ტესტების შესადგენად ფიზიკის დეპარტამენტისათვის გამოიყოფ 2100 საათი და მათემატიკის დეპარტამენტისათვის – 2300 საათი.

ბ ა დ ა ო მ ი ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე თამარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლების პირველი წლის მაგისტრატურის აკადემიური დატვირთვის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №322.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №322 დადგენილება:

ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე მაგისტრატურის სწავლების პირველ წელზე სასწავლო კურსებში ყოველ 5 კრედიტზე დაიგეგმოს 33 საათი, მათ შორის – 30 საათი სააუდიტორიო და 3 საათი – ტესტირებისათვის.

ბ ა დ ა ო მ ი ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 ოქტომბრის №53 სხდომაზე თამარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი მათემატიკის დეპარტამენტისათვის საკონსულტაციო საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №324.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №324 დადგენილება:

მათემატიკის სასწავლო კურსებში 2010-2011 სასწავლო წელს სწავლების პირველი წლის ბაკალავრიატისა და პროფესიული უმაღლესი განათლების სტუდენტებისათვის ინდივიდუალურად საკონსულტაციოდ გამოიყოს 3500 საათი.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ეკატერინე თევზაძე

სხდომის მდივანი,

პროფესორი

ვინა გურეშიძე